ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის
სხდომის ოქმი
N62

ქ. თბილისი; 9 ივნისი, 2020 წ. 12 : 00 სთ.

სხდომას ესწრებოდნენ:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრები:

ლევან ჟორჟოლიანი (თავმჯდომარე)
თინათინ ნიბლოშვილი
გიორგი ჩაკვეტაძე
ავთანდილ ცინცაძე
ქეთევან მამულაშვილი
ალექსანდრე ხუჯაძე
ნინო რუხაძე
ლილე ლიპარტელიანი

მოწვეული პირები:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის უფროსი - **ვალერი ჭიღლაძე**

მერის მოადგილის თანამდებობაზე დასანიშნი კანდიდატი - **ანდრია ბასილაია**

სსიპ ტრანსპორტის განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე - **ვასილ აბულაძე**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის იურისტი - **მარიამ ჩივაძე**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის იურისტი - **ნუცა ცქიტიშვილი**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის ჯანდაცვის პროგრამების განყოფილების უფროსი - **ნათია ვერძაძე**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს იურიდიული სამსახურის უფროსი - **მარიამ კვერნაძე**

სხდომის თავმჯდომარე:

ლევან ჟორჟოლიანი
იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის
კომისიის თავმჯდომარე

დღის წესრიგი

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილის თანამდებობაზე ანდრია ბასილაიას დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

2. "ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირების - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტის განვითარების სააგენტოს და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ურბანული განვითარების სამსახურის რეორგანიზაციაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობისათვის თანხმობის მიცემის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

3. „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

4. „ქ. თბილისში, ალექსანდრე ყაზბეგის ქუჩა N34 (ს/კ N01.14.03.040.220) არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულების მიზნით შპს ,,იქსორი ქავთარაძეზე“-სთვის (ს/კ 405341447) ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

5. „ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში სატრანსპორტო საშუალებების პარკირების რეგულირების წესისა და პარკირების საფასურის დადგენის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 27 დეკემბრის N33-99 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

6. “ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობის ქვეპროგრამის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

7. თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული სოციალური დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 24 იანვრის N52-9 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

8. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 24 იანვრის №52-10 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

9. „ქალაქ თბილისში, ვაზისუბანი მიკრო/რაიონი 2ა, კორპუსი N21-ში (საკადასტრო კოდი: N01.17.07.001.001.01.023) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

10. ”ქალაქ თბილისში, წულუკიძის ქუჩა N14-ის მიმდებარედ (ნაკვეთი 06/020-ში, საკადასტრო კოდი: N01.17.10.006.020.01.500) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

11. “ქალაქ თბილისში, სოფელ ოქროყანაში, მეფუტკრეობის ქუჩა N8-ში (საკადასტრო კოდი: N81.02.13.745.01.001) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

12. “ქალაქ თბილისში, თენგიზ სტურუას ქუჩა N29-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.27.002.030.01.007) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

13. “ქალაქ თბილისში, ვაგზლის ქუჩა N57-ში (საკადასტრო კოდი: N01.18.13.016.003.04.504) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

14. “ქალაქ თბილისში, საინგილოს ქუჩა N55-ში (საკადასტრო კოდი: N01.17.02.059.027.01.506) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

15. „ქ. თბილისში, დიდი დიღმის IV მიკრო/რაიონში, 29-ე კორპუსის მიმდებარედ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ 8613 კვ.მ მიწის ნაკვეთის (ს/კ: N01.10.07.004.058) ე.წ. ყოფილი კოოპერატიული ბინათმშენებლობის წევრებისთვის/მათი უფლებამონაცვლეებისთვისა და შპს „პერსპექტივასათვის“ (ს/კ: 405304950) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2020 წლის 13 მაისის N20.505.651 განკარგულებაში ცვლილების შეტანის საკითხზე თანხმობის გაცემის თაობაზე” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა გახსნილად გამოაცხადა და დამსწრე წევრებს დასამტკიცებლად წარუდგინა იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომის დღის წესრიგის პროექტი.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის მიერ ერთხმად იქნა დამტკიცებული სხდომის დღის წესრიგი.

მოისმინეს:

1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის უფროსმა - **ვალერი ჭიღლაძემ,** სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი **„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილის თანამდებობაზე ანდრია ბასილაიას დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ“** განკარგულების პროექტი და წარმოადგინა მერის მოადგილის თანამდებობაზე დასანიშნი კანდიდატი - **ანდრია ბასილაია.**

ბატონმა ვალერიმ, ანდრია ბასილაიას ბიოგრაფიაზე საუბრისას აღნიშნა, რომ ბატონ ანდრიას განათლება მიღებული აქვს ამერიკის შეერთებულ შტატებში და მრავალი წლის განმავლობაში მუშაობდა მენეჯერის თანამდებობაზე, როგორც კერძო, ასევე საჯარო სექტორში.

ვალერი ჭიღლაძემ აღნიშნა, რომ ანდრია ბასილაია 2017 წლიდან იკავებდა ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსის თანამდებობას და განხორციელებული აქვს უამრავი მნიშვნელოვანი პროექტი.

დასასრულს, **ბატონმა ვალერიმ** აღნიშნა, რომ ანდრია ბასილაია ბოლო პერიოდში ურბანული განვითარების სამსახურს ხელმძღვანელობდა და მისი საქმიანობა აღნიშნულ პოზიციაზე იყო მეტად წარმატებული. მისივე თქმით, ბატონი ანდრიას პირადული, პროფესიული და მენეჯერული თვისებებიდან გამომდინარე, დედაქალაქის მერმა წარმოადგინა მისი კანდიდატურა, მერის მოადგილის ვაკანტურ თანამდებობაზე დასანიშნად.

აზრი გამოთქვეს:

კომისიის წევრებმა ბასილაიას კანდიდატურას ღია მხარდაჭერა გამოუცხადეს და ახალ თანამდებობაზე წარმატებები უსურვეს.

კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ კარგად იცნობს ანდრია ბასილაიას და იცის მისი სამუშაო გამოცდილების შესახებ, თავმჯდომარემ, წარმატება უსურვა ბატონ ანდრიას მომავალ საქმიანობაში.

დასასრულს, **ლევან ჟორჟოლიანმა,** მიზანშეწონილად მიიჩნია, წარმოდგენილი განკარგულების სამართლებრივ საფუძვლებში, საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ **61-ე მუხლის მე-2 პუნქტის მითითება.**

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავის შიკავა ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ წევრმა - **ლილე ლიპარტელიანმა,**

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

2. სსიპ ტრანსპორტის განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილემ - **ვასილ აბულაძემ,** სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი **"ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირების - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტის განვითარების სააგენტოს და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ურბანული განვითარების სამსახურის რეორგანიზაციაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობისათვის თანხმობის მიცემის შესახებ"** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

როგორც მომხსენებლმა განმარტა, წარმოდგენილი პროექტის თანახმად, უკეთესი მმართველობის მიზნებიდან გამომდინარე, რეორგანიზაცია ხორციელდება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტის განვითარების სააგენტოსთან, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ურბანული განვითარების სამსახურის შერწყმით.

ვასილ აბულაძემ განმარტა, რომ ურბანისტიკა ქალაქგეგმარების პოლიტიკას განსაზღვრავს, ამასთან, ქალაქგეგმარების მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს სატრანსპორტო პოლიტიკაც. მისივე თქმით, აღნიშნული სამსახურების გაერთიანებით, ქალაქგეგმარების პოლიტიკა განხორციელდება კიდევ უფრო სინქრონულად და ეფექტიანად, გადაწყვეტილების მიღების პროცესი კი ბევრად უფრო სწრაფი და მოქნილი გახდება.

დასასრულს, **ბატონმა ვასილმა** აღნიშნა, რომ რეორგანიზაციის დასრულების შემდგომ, სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ურბანული განვითარების სამსახურის უფლებამონაცვლედ ყველა სახის ურთიერთობაში ჩაითვლება სსიპ – **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტის განვითარების სააგენტო.**

აზრი გამოთქვა:

კომისიის თავმჯდომარის - ლევან ჟორჟოლიანის თქმით, განკარგულების პროექტის სათაური და პროექტის პირველი მუხლი გამართულ უნდა იქნეს ტექნიკური თვალსაზრისით, ამასთან, თავმჯდომარემ მიზანშეწონილად მიიჩნია, განკარგულების პროექტის სამართლებრივ საფუძვლებში, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2020 წლის 4 ივნისის **N20.578.730** განკარგულების მითითება.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ განკარგულების პროექტს მხარი არ დაუჭირა, ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" წევრმა - **ლილე ლიპარტელიანმა,**

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

3. იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარემ - **ლევან ჟორჟოლიანმა,** სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი **„ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე"** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, დღეის მდგომარეობით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში ვხვდებით საცხოვრებელი ტიპის ავარიულ შენობა-ნაგებობებს, რომელთაც ყავთ მესაკუთრეები, თუმცა მათი ავარიულობის ხარისხიდან გამომდინარე ვეღარ სარგებლობენ. იმის გათვალისწინებით, რომ მუნიციპალიტეტის მიზანია ხელი შეუწყოს თავის მოქალაქეებს მათი საკუთრების განვითარებასა და გამოყენებაში, ამასთანავე მუნიციპალიტეტში აღარ იყოს ასეთი ტიპის შენობა-ნაგებობები ქალაქ თბილისის მთავრობამ მიზანშეწონილად მიიჩნია, რომ

უნდა განხორციელდეს რიგი ხელშემწყობი ღონისძიებები, რაც პირდაპირ იქნება დაკავშირებული როგორც მესაკუთრეთა ასევე მუნიციპალიტეტის ინტერესებთან.

კომისიის თავმჯდომარის განმარტებით, ცვლილება შედის ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის **№14-39** დადგენილებაში და დადგენილებით დამტკიცებულ წესებს ემატება V[1] თავი, რომლის მიხედვით, **V კატეგორიის ავარიული** შენობა-ნაგებობის ჩანაცვლების მიზნით, შესაძლებელი იქნება გამოყენებული იქნეს **ხელშემწყობი ღონისძიებები, კერძოდ:**

ავარიული შენობა-ნაგებობის ჩანაცვლების მიზნით ხელშემწყობი ღონისძიებების სახით შესაძლებელია განხორციელდეს მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტების ზღვრული მაჩვენებლების გადამეტება, ასევე კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნებისაგან (შენობა-ნაგებობათა მაქსიმალური სიმაღლე, ფუნქციურ ზონა და მისი რეგლამენტი, დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალებით/განაშენიანების რეგულირების გეგმით გათვალისწინებული მოთხოვნები, მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებით გათვალისწინებული მოთხოვნები, არქიტექტურულ-სამშენებლო პროექტით გათვალისწინებული მოთხოვნები, სატრანსპორტო და გამწვანების რეგულაციები, მიჯნის ზონისა და შენობა-ნაგებობის განთავსების წესის, ავტოსადგომების რაოდენობისა და სხვა) განსხვავებული პირობებით ქალაქთმშენებლობითი და სამშენებლო დოკუმენტაციის დამტკიცება ან მათში ცვლილების შეტანა.

ბატონი ლევანის თქმით, აღნიშნული ხელშემწყობი ღონისძიებები გამოიყენება ავარიული შენობა-ნაგებობის ჩანაცვლების მიზნით გამოყენებულ ნებისმიერ მიწის ნაკვეთზე. მისივე თქმით, ავარიული შენობა-ნაგებობის ჩანაცვლებისათვის ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა საკრებულოსთან შეთანხმებით.

კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ დადგენილების პროექტით განსაზღვრულია, დაინტერესებული პირის მიერ წარდგენილ განცხადებაზე დასართავი დოკუმენტების ნუსხა. ასევე, მუნიციპალიტეტის დამატებით უფლებამოსილება, კერძოდ: ობიექტის უსაფრთხოების მიზნით ან კერძო და საჯარო ინტერესებიდან გამომდინარე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტი უფლებამოსილი იქნება დაინტერესებული პირისაგან მოითხოვოს დამატებითი დოკუმენტაციის წარმოდგენა ან გარკვეული პირობების შესრულება.

დასასრულს ლევან ჟორჟოლიანმა განარტა, რომ წინამდებარე პროექტი ეხება მხოლოდ იმ ავარიულ შენობა-ნაგებობებს, რომელთა ავარიულობის ხარისხი არის **V კატეგორიის.** თუმცა, გამომდინარე იქიდან, რომ დედაქალაქში მრავლადაა მათ შორის IV კატეგორიის ავარიულობის ხარისხის მქონე შენობა-ნაგებობები მუნიციპალიტეტს ამავე დადგენილებით ევალება შესაბამისი წინადადებების წარმოდგენა მათ შორის IV კატეგორიის ავარიული შენობა-ნაგებობების ჩანაცვლებასთან დაკავშირებით ხელშემწყობ ღონისძიებებზე.

აზრი გამოთქვა:

კომისიის თავმჯდომარემ - ლევან ჟორჟოლიანმა განმარტა, რომ დადგენილების პროექტის სამართლებრივ საფუძვლებში უნდა მიეთითოს საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" **61-ე მუხლის მე-2 პუნქტი.**

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავის შიკავა ფრაქციის ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" წევრმა - **ლილე ლიპარტელიანმა,**

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი დადგენილების პროექტს და

მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

4. იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარემ - **ლევან ჟორჟოლიანმა,** სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წრმოდგენილი **„ქ. თბილისში, ალექსანდრე ყაზბეგის ქუჩა N34 (ს/კ N01.14.03.040.220) არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულების მიზნით შპს „იქსორი ქავთარაძეზე"-სთვის (ს/კ 405341447) ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების საკითხის შეთანხმების თაობაზე"** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

კომისიის თავმჯდომარემ განმარტა, რომ „ტექნიკური რეგლამენტის - დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის N59 დადგენილებით დამტკიცებული **„ტექნიკური რეგლამენტი - „დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების"** 35-ე **მუხლით** დადგენილია დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისათვის საჭირო დროებითი ღონისძიებები ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე.

მომხსენებლის თქმით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაუმთავრებელ მშენებლობებთან დაკავშირებული საკითხების განმხილველ კომისიას განცხადებებით მიმართა შპს „იქსორი ქავთარაძეზემ" (ს/კ 405341447) და **მოითხოვა მისამართზე - ქ. თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის ქუჩა N34 (ს/კ: 01.14.03.040.220) არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულებისთვის ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენება.**

როგორც **ლევან ჟორჟოლიანმა** აღნიშნა, ყაზბეგის ქუჩა 34-ში დაუმთავრებელ მშენებლობას ჰყავს დაზარალებულები, საიდანაც, **131 ფიზიკური პირი და ერთი - იურიდიული პირია.** მათთვის გადასაცემი ფართების ჯამური ოდენობა კი **წარმოადგენს 14 698,8 კვადრატულ მეტრს.**

ბატონი ლევანის თქმით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტით, ქალაქ თბილისის **მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობის შემთხვევაში,** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაუმთავრებელ მშენებლობებთან დაკავშირებული საკითხების განმხილველ კომისიაზე წარმოდგენილი განცხადების და დოკუმენტაციის ფარგლებში, ხდება, სამშენებლო კომპანია **„შპს „იქსორი ქავთარაძეზე"-სთვის** დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულების მიზნით, **მთელი რიგი ხელშემწყობი ღონისძიებების/პირობების განსაზღვრა:**

- ა) მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის **კოეფიციენტი განისაზღვროს - (კ-2)-8.0-ით;**
- **ბ) არქიტექტურული პროექტის შეთანხმების ეტაპზე დაინტერესებულმა პირმა წარადგინოს საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემა ცენტრალურ გზებთან წვდომით;**
- **გ) არქიტექტურული პროექტის შეთანხმების ეტაპზე მიეცეს პრეფერენცია საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის N41 დადგენილების იმ ნაწილების არ გამოყენებაზე, რომელიც დაკავშირებულია შენობა-ნაგებობის განთავსებასთან და ღიობის გამოჭრასთან;**

- დ) **მშენებლობის ნებართვის გაცემის ეტაპზე** (არქიტექტურული პროექტის შეთანხმების შემდეგ) **დაინტერესებულმა პირმა დამატებით წარმოადგინოს შპს ,,იქსორი ქავთარაძეზე"** (ს/კ405341447) **და ი.ბ.ა „აგრარული აკადემია 2005"-ს შორის გაფორმებული ხელშეკრულების** დანართში მითითებულ **გადასაცემ ფართებთან** მიმართებაში **იმ** <u>**ფიზიკურ პირთა თანხმობები, რომელთაც ამ დანართის მიხედვით შეცვლილი/შემცირებული აქვთ გადასაცემი ფართების ოდენობა და დაინტერესებულ პირს არ აქვს წარმოდგენილი კომისიის წინაშე;**</u>

- ე) ხელშემწყობი ღონისძიებების ფარგლებში შემუშავებული და დამტკიცებული არქიტექტურული პროექტის შესაბამისად, **სარეალიზაციო ფართების განკარგვა და უფლებრივად დატვირთვა (მათ შორის, იპოთეკა) დასაშვებია მხოლოდ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაუმთავრებელ მშენებლობებთან დაკავშირებული საკითხების განმხილველი კომისიის 2020 წლის 11 მარტის N4 სხდომის ოქმში** მითითებულ **დაზარალებულთა** მიმართ **ვალდებულებების შესრულებისათვის საჭირო შესაბამისი სამშენებლო ფართის მშენებლობის დასრულების შემდეგ.** ამასთან, **დაინტერესებულ პირს უფლება აქვს განახორციელოს მხოლოდ იმ სარეალიზაციო (თავისუფალი) ფართების განკარგვა/ უფლებრივად დატვირთვა, რომელსაც ააშენებს და მოიყვანს არანაკლებ კარკასულ მდგომარეობაში,** ამ პუნქტის „ვ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული წესით;

- ვ) **ეთხოვოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს,** მისამართზე - ქ. თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის ქუჩა №34 (ს/კ N01.14.03.040.220) არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულებისთვის ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენებასთან დაკავშირებით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის გადაწყვეტილების მიღებისა და ამ გადაწყვეტილების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმების შემთხვევაში, **მოამზადოს და დაინტერესებულ პირთან გააფორმოს ხელშეკრულება ამ პუნქტის ,,ე" ქვეპუნქტით განსაზღვრულ შეზღუდვებთან დაკავშირებით, რომელიც რეგისტრირებულ უნდა იქნას** საჯარო **რეესტრიდან** შესაბამისი **უძრავი ქონებების** ამონაწერებში. **აღნიშნული ხელშეკრულება უნდა გაფორმდეს და შეზღუდვა დარეგისტრირებულ იქნას შესაბამისი მშენებლობის ნებართვის გაცემამდე ან მშენებლობის ნებართვის გაცემის შემდეგ, თუმცა არაუგვიანეს ნებართვის საფუძველზე ინდივიდუალური (განშლილი) ფართების საჯარო რეესტრში რეგისტრაციამდე, მხოლოდ იმ პირობით, რომ აღნიშნული ხელშეკრულების გაფორმება (შეზღუდვის რეგისტრაცია) განისაზღვრება შესაბამისი მშენებლობის ნებართვის პირობად.** ამ პუნქტის „ე" ქვეპუნქტით განსაზღვრული პირობების შესრულება დადასტურებულ უნდა იქნას შესაბამისი საექსპერტო დასკვნით, რომელიც გაცემულ უნდა იქნას სააგენტოსა და დაინტერესებულ პირს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით განსაზღვრული პირ(ებ)ის მიერ;

- ზ) **დაინტერესებულმა** პირმა - **შპს ,,იქსორი ქავთარაძეზე"** (ს/კ 4051431447) - **სარეალიზაციო** ფართობების **განკარგვა** მოახდინოს **,,ე" ქვეპუნქტისა** და **ქალაქ** თბილისის **მუნიციპალიტეტის** სსიპ - ქონების **მართვის** სააგენტოსთან **გაფორმებული** ხელშეკრულებით **გათვალისწინებული** პირობების **მიხედვით.**

აზრი გამოთქვა:

ზატონამ ლევანმა განმარტა, რომ სასურველია ტექნიკურად გაიმართოს წარმოდგენილი განკარგულების პროექტის პირველი მუხლის **„ვ“ ქვეპუნქტის ერთ-ერთი წინადადების ფორმულირება და ჩამოყალიბდეს შესაბამისი რედაქციით.**

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ დადგენილების პროექტს მხარი არ დაუჭირა, ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ წევრმა - **ლილე ლიპარტელიანმა,**

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი დადგენილების პროექტს და მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

5. სსიპ ტრანსპორტის განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილემ - **ვასილ აბულაძემ,** სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი **„ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში სატრანსპორტო საშუალებების პარკირების რეგულირების წესისა და პარკირების საფასურის დადგენის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 27 დეკემბრის N33-99 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში საგზაო მოძრაობის ორგანიზების შემდგომი გაუმჯობესების მიზნით, ცვლილება შედის, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს **№33-99** დადგენილებით დამტკიცებულ წესში და დგინდება A კატეგორიის ნებართვის მქონე ტაქსის, აგრეთვე ტურისტული მარშრუტებისათვის განკუთვნილი სატრანსპორტო საშუალებების პარკირების ადგილის მანიშნებლები.

ვასილ აბულაძის თქმით, წარმოდგენილი ცვლილების თანახმად, საპარკინგე ადგილები დაემატება დისტრიბუციის მანქანებისთვისაც, ასევე სპეციალური საპარკინგე ადგილები ელექტრო თვითმგორავებისთვისაც გამოიყოფა. ამასთან, განისაზღვრება აღნიშნული სპეციალური პარკირებების ადგილის დამდგენი მანიშნებლებიც.

აზრი გამოთქვა:

ლევან ჟორჟოლიანმა ისაუბრა დედაქალაქში დისტრიბუციის მანქანებისთვის საპარკინგე ადგილების დამატების მნიშვნელობაზე და მიზანშეწონილად მიიჩნია, წარმოდგენილი განკარგულების სამართლებრივ საფუძვლებში, საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ **61-ე მუხლის მე-2 პუნქტის მითითება.**

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ დადგენილების პროექტს მხარი არ დაუჭირა, ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ წევრმა - **ლილე ლიპარტელიანმა,**

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი დადგენილების პროექტს და მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

6. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის იურისტმა - **ნუცა ცქიტიშვილმა,** სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი **"ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობის ქვეპროგრამის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ"** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

მომხსენებელმა განმარტა, რომ მტკიცდება დედაქალაქის ბიუჯეტით გათვალისწინებული **„შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობის"** ქვეპროგრამის განხორციელების წესი, რომლის თანახმად, ქვეპროგრამით გათვალისწინებული მომსახურების მიმღები შესაძლებელია იყოს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული საქართველოს მოქალაქე - შშმ პირი, რომელიც რეგისტრირებულია ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, განცხადების წარდგენის მომენტისათვის არანაკლებ ბოლო ერთი წლის განმავლობაში, მათ შორის იმ შემთხვევაშიც, თუ აღნიშნულ პერიოდში შეუწყდა და კვლავ განუახლდა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტში რეგისტრაცია და ამგვარი შეწყვეტის შედეგად არ დარეგისტრირებულა სხვა მუნიციპალიტეტში.

მომხსენებლის თქმით, პროექტის პირველი მუხლით წარმოდგენილი წესი განსაზღვრავს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ქვეპროგრამის „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობა" (კოდი: 06 02 28) (შემდგომში – ქვეპროგრამა) ფარგლებში დაფინანსების განხორციელების პირობებსა და პროცედურებს. წესის მიზანს წარმოადგენს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობა, მათი სოციალური დაცვის უზრუნველყოფა და კულტურულ - შემოქმედებით ღონისძიებებში ჩართვა.

ნუცა ცქიტიშვილის თქმით, წარმოდგენილი წესი ასევე ადგენს ქვეპროგრამით გათვალისწინებული მომსახურების სახეებსა და ქვეპროგრამით გათვალისწინებული მომსახურების მიღების პროცედურას, რომლის მიხედვითაც ქვეპროგრამით მოსარგებლე პირმა ან მისმა კანონიერმა წარმომადგენელმა განცხადებით/საპროექტო განაცხადით უნდა მიმართოს ქვეპროგრამის განმახორციელებელს და წარუდგინოს შესაბამისი დოკუმენტაცია, ხოლო განცხადების დაკმაყოფილების შემთხვევაში სასმახურის მიერ გაიცემა არამატერიალიზებული ვაუჩერი ან ფორმდება ხელშეკრულება.

საკითხის წარმომდეგნის განმარტებით, ქვეპროგრამის განმახორციელებლის მიერ ხდება შემთხვევათა მონიტორინგი, რომლის დროსაც ხორციელდება ქვეპროგრამის მოსარგებლესთან ვიზიტი და შესრულებული სამუშაოს დამადასტურებელი დოკუმენტაციით მოწოდებული ინფორმაციის გადამოწმება, საჭიროებისამებრ, შშმ პირთან გასაუბრება.

მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის იურისტმა აღნიშნა, რომ წარმოდგენილი პროექტით ასევე განისაზღვრება მომსახურების ანაზღაურების წესიც.

დასასრულს, **ქალბატონმა ნუცამ** აღნიშნა, რომ წარმოდგენილი პროექტის შესაბამისად, ძალადაკარგულად ცხადდება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 2 მარტის №4-14 დადგენილება, ხოლო აღნიშნული ქვეპროგრამების დაფინანსება გათვალისწინებულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტით.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი დადგენილების პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

7. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის იურისტმა - **მარიამ ჩივაძემ,** სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი **„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული სოციალური დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 24 იანვრის N52-9 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, წარმოდგენილი დადგენილების პროექტის შესაბამისად, ცვლილება შედის, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს N52-9 დადგენილებაში და ახალი რედაქციით ყალიბდება, აღნიშნული დადგენილებით დამტკიცებული **„უფასო სწავლება მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლებში და სასახლეში“** და **„უფასო სწავლება ხელოვნების სკოლებში“ ქვეპროგრამის განხორციელების წესი“–ს მე–10 მუხლი,** ასევე, ახალი რედაქციით ყალიბდება, **„უფასო სწავლება სპორტულ სკოლებში და საცურაო აუზებში“ ქვეპროგრამის ფარგლებში სოციალურად დაუცველი მოსწავლეების საცურაო აუზებში სწავლების დაფინანსების წესი“–ს** მე–11 მუხლის **მე–4 და მე–5 პუნქტები.**

საკითხის წარმომდგენის თქმით, წარმოდგენილი ცვლილებებით, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურს ენიჭება უფლებამოსილება **– 2020 წლის მარტისა და აპრილის თვეების გარდა,** მომსახურებების მიმწოდებლის სტატუსის მქონე დაწესებულებებზე, ამავე თვეებში, ქვეპროგრამების ფარგლებში დასაქმებული პირებისათვის, **2020 წლის თებერვალში,** მითითებული წესებით გათვალისწინებული ასანაზღაურებელი შემთხვევების ფულადი ოდენობის 100% გასცეს წინასწარ, ავანსის სახით მაისისა და ივნისის თვეებშიც, ხოლო, თავის მხრივ, ქვეპროგრამების მიმწოდებლები, ვალდებულები იქნებიან, 2020 წლის **მარტში, აპრილში, მაისსა და ივნისში** ავანსის სახით მიღებული თანხების მოცულობის შესაბამისად, ქვეპროგრამის მოსარგებლეებს გაუწიოს წესებით გათვალისწინებული მომსახურებები.

მარიამ ჩივაძის თქმით, ახალი კორონავირუსისა და ქვეყანაში შექმნილი მდგომარეობის გამო, აღნიშნული ქვეპროგრამების მიმწობლები, მოკლებულნი არიან შესაძლებლობას გაუწიონ მომსახურება ბენეფიციარებს და შესაბამისად, მიიღონ შესრულებული სამუშაოს ანაზღაურება, რაც თავის მხრივ ზღუდავს დაწესებულებებს გასცენ ქვეპროგრამის ფარგლებში დასაქმებული პირების შრომითი ანაზღაურება. აღნიშნული ცვლილება მიზნად ისახავს ქვეპროგრამის გამართული მუშაობის უზრუნველყოფასა და მიმწოდებლებთან შემდგომი თანამშრომლობის ხელშეწყობას.

დასასრულს, **მარიამ ჩივაძემ** განმარტა, რომ ქვეპროგრამებების დაფინანსება გათვალისწინებულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტით, ხოლო პროექტის მე–2 მუხლის თანახმად, **დადგენილება,** დამტკიცების შემთხვევაში, **ამოქმედდება გამოქვეყნებისთანავე.**

აზრი გამოთქვა:

კომისიის თავმჯდომარის თქმით, მიზანშეწონილია, პროექტის პირველი მუხლის პირველ პუნქტში გასწორდეს ხარვეზი და სწორი რედაქციით მიეთითოს ქვეპროგრამის: **„უფასო სწავლება ხელოვნების სკოლებში“ კოდი.** ამასთან, ვინაიდან, პროექტით ხდება ქვეპროგრამის განმახორციელებლისათვის უფლებამოსილების მინიჭება, **მარტისა და აპრილის თვეების გარდა, მაისისა და ივნისის თვეებზეც** გასცეს შესაბამისი ოდენობის თანხა, წინასწარ, ავანსის სახით მომსახურების მიმწოდებელი დაწესებულებებზე, ქვეპროგრამის ფარგლებში დასაქმებული პირებისათვის, მათ მიერ, ბენეფიციარებისათვის მომსახურების სამომავლოდ გაწევის ვალდებულებით, **პროექტის პირველი მუხლის პირველ და მე–2 პუნქტებში ნაცვლად,**

აღნიშნული წესებისათვის შესაბამისი მუხლის/პუნქტების დამატებისა, მიზანშეწონილია, მიეთითოს მათში ცვლილების შეტანის საკითხი.

თავმჯდომარის მოსაზრებით, სასურველია, მომსახურების მიმწოდებელმა, ბენეფიციარებისათვის, წინასწარ, ავანსის სახით მიღებული თანხის სანაცვლოდ, სამომავლოდ, მომსახურება გასწიოს ქვეპროგრამის განმახორციელებელთან შეთანხმებით, რაც უნდა იყოს მითითებული დადგენილების პროექტში.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ლევან ჟორჟოლიანმა მიზანშეწონილად მიიჩნია დადგენილების პროექტის პირველი მუხლის შესაბამისი რედაქციით ჩამოყალიბება.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი დადგენილების პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

8. ჯანდაცვის პროგრამების განყოფილების უფროსმა - **ნათია ვერძაძემ,** სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი **„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“** ქალაქ თბილისის **მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 24 იანვრის №52-10 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ”** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, ცვლილებები ხორციელდება, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს **№52-10** დადგენილებაში ახალი რედაქციით ყალიბდება დადგენილებით დამტკიცებული **„დაავადებათა სკრინინგის ქვეპროგრამის განხორციელების წესი”.**

ნათია ვერძაძემ ისაუბრა წესის მოქმედ რედაქციასთან მიმართებით წარმოდგენილი ძირითად ცვლილებებზე და აღნიშნა, რომ პროექტის თანახმად, ქვეპროგრამით გათვალისწინებულ კომპონენტის - პროსტატის კიბოს მართვა 50-70 წლის ასაკის ჩათვლით მამაკაცებში გათვალისწინებული მომსახურების მიღება მოსარგებლეებს შეუძლიათ მხოლოდ ოჯახის ექიმის ან შესაბამისი სპეციალისტის მიმართვით, რაც განპირობებულია იმით, რომ აღნიშნული კომპონენტი წარმოადგენს არა სკრინინგს, არამედ დაავადების მართვას.

საკითხის წარმომდგენის განმარტებით, აღნიშნული ცვლილების შედეგად, მომსახურება შესაბამისობაში მოდის საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ ადმინისტრირებად პროგრამასთან.

მომხსენებელის განმარტებით, წესის წარმოდგენილ რედაქციაში ჩნდება ახალი ტერმინი **„ლაბორატორიული მომსახურების მიმწოდებელი“** და შესაბამისად წესი მოიცავს აღნიშნული მიმწოდებლისათვის დადგენილ სტანდარტებსა და აწესებს მისი მუშაობის სპეციფიკას. მისივე თქმით, წარმოდგენილი წესი განსაზღვრავს კრიტერიუმებს, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდეს ლაბორატორიული მომსახურების მიმწოდებლები, აღნიშნული ასევე შესაბამისობაშია სახელმწიფო პროგრამასთან მიმართებაში.

ქალბატონმა ნათიამ აღნიშნა, რომ წარმოდგენილი წესი ასევე განსაზღვრავს ცვლილებას მომსახურების ტარიფებთან მიმართებაში, რაც ასევე შესაბამისობაში მოდის სახელმწიფო

პროგრამასთან. მისივე თქმით, ცვლილებები შედის ასევე ანგარიშგების მუხლში, რომლის თანახმადაც ერთმანეთისგან იმიჯნება სხვადასხვა კომპონენტის შემთხვევაში შესრულებული სამუშაოს ელექტრონულ პროგრამაში რეგისტრაციის ვადები. ამასთან, **ჯანდაცვის პროგრამების განყოფილების უფროსის განმარტებით,** აღნიშნული წესი, ასევე ადგენს ლაბორატორიული მომსახურების მიმწოდებლისათვის დამატებით პირობებს.

ქალბატონმა ნათიამ ასევე ისაუბრა, წარმოდგენილი წესის გარდამავალი დებულებებით განსაზღვრული მომსახურების ანაზღაურების პირობებზე და იქვე დასძინა, რომ წარმოდგენილი დადგენილების შესაბამისად, აღნიშნული დადგენილება ამოქმედდება გამოქვეყნებისთანავე და გავრცელდება 2020 წლის პირველი ივნისიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი დადგენილების პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

9. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის - სსიპ ქონების მართვის სააგენტოს წარმომადგენელმა - **მარიამ კვერნაძემ** სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი, რიგი განკარგულებათა პროექტები, მათ შორის, **„ქალაქ თბილისში, ვაზისუბანი მიკრო/რაიონი 2ა, კორპუსი N21-ში (საკადასტრო კოდი: N01.17.07.001.001.01.023) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე"** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებლის თქმით, ისნის რაიონის გამგეობის რეკომენდაციის გათვალისწინებით, ქ. თბილისში, ვაზისუბანი მიკრო/რაიონი 2ა, კორპუსი N21-ში, ბინა N23-ში მდებარე **20.00 კვ.მ ფართი,** პირდაპირი განკარგვის ფორმით, პრივატიზებით, **სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად** საკუთრებაში გადაეცემა **მოქალაქე თეონა კვარაცხელიას.**

მარიამ კვერნაძის თქმით, ქ.თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ისანი-სამგორის სამმართველოს პოლიციის მე-2 განყოფილების წერილის თანახმად, **თეონა კვარაცხელია** ოჯახთან ერთად **2002** წლიდან ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე. ამასთან, ნოტარიულად დამოწმებული აქტების თანახმად, შესაბამისი მოქალაქეები ადასტურებენ, რომ **თეონა კვარაცხელია** ოჯახთან ერთად ცხოვრობს ზემოაღნიშნულ მისამართზე მდებარე ფართში.

დასასრულს, **ქალბატონმა მარიამმა** აღნიშნა, რომ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემების თანახმად, **თეონა კვარაცხელიას** და მისი ოჯახის წევრებზე საკუთრების უფლება უძრავ ნივთზე **რეგისტრირებული არ არის.**

აზრი გამოთქვა:

ლევან ჟორჟოლიანმა განმარტა, რომ სასურველია განკარგულების პროექტის სათაური გამართულ იქნას ტექნიკური თვალსაზრისით. ამასთან, მიზანშეწონილია, განკარგულების პროექტის **პირველ პუნქტში** აღინიშნოს უძრავი ქონების საპრივატიზებო საფასური. ასევე, სასურველია გასწორდეს და შეიცვალოს წარმოდგენილი განკარგულების პროექტის **მეორე პუნქტი,** შესაბამისად, განკარგულების პროექტის პირველი და მეორე პუნქტები ჩამოყალიბდეს შესაბამისი რედაქციით.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავის შიკავა ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ წევრმა - **ლილე ლიპარტელიანმა,**

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

10. მარიამ კვერნაძემ, დღის წესრიგით გათვალისწინებულ მე-10 საკითხთან დაკავშირებით განმარტა, რომ ისნის რაიონის გამგეობის წერილობითი შუამდგომლობის გათვალისწინებით, ქ. თბილისში, წულუკიძის ქუჩა N14-ის მიმდებარედ (ნაკვეთი 06/020-ში), მდებარე **50.26 კვ.მ** ფართის ბინა, პირდაპირი განკარგვის ფორმით, პრივატიზებით, **სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად,** საკუთრებაში გადაეცემა სოციალურად დაუცველ პირს, **მოქალაქე რომან გიორგაძეს,** რომელიც **1999** წლიდან, 8 სულიან ოჯახთან ერთად ფლობს და სარგებლობს აღნიშნული უძრავ ქონებით, რაც დასტურდება ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ისანი-სამგორის სამმართველოს წერილითა და ასევე დაინტერესებული პირის მეზობლების განცხადებებით.

დასასრულს, **ქალბატონმა მარიამმა** აღნიშნა, რომ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემების თანახმად, რომან გიორგაძისა და მისი ოჯახის წევრების სახელზე, საკუთრების უფლება უძრავ ნივთზე, **რეგისტრირებული არ არის.**

აზრი გამოთქვა:

ლევან ჟორჟოლიანმა განმარტა, რომ სასურველია განკარგულების პროექტის სათაური გამართულ იქნას ტექნიკური თვალსაზრისით. ამასთან, მიზანშეწონილია, განკარგულების პროექტის **პირველ პუნქტში** აღინიშნოს უძრავი ქონების საპრივატიზებო საფასური. ასევე, სასურველია გასწორდეს და შეიცვალოს წარმოდგენილი განკარგულების პროექტის **მეორე პუნქტი,** შესაბამისად, განკარგულების პროექტის პირველი და მეორე პუნქტები ჩამოყალიბდეს შესაბამისი რედაქციით.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავის შიკავა ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ წევრმა - **ლილე ლიპარტელიანმა,**

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

11. მარიამ კვერნაძემ ისაუბრა, დღის წესრიგით გათვალისწინებულ მე-11 საკითხთან დაკავშირებით და განმარტა, რომ ქ. თბილისში, სოფელ ოქროყანაში,მეფუტკრეობის ქუჩა N8-ში, პირველ სართულზე მდებარე **95.40 კვ.მ.** ბინა N1, პირდაპირი განკარგვის ფორმით, პრივატიზებით, **სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად,** საკუთრებაში გადაეცემა **მოქალაქე ელისო გაზდელიანს.**

მომხსენებლის თქმით, ქონების გადაცემით დაინტერესებული პირის მეზობლების ნოტარიულად დამოწმებული განცხადების მიხედვით, ელისო გაზდელიანი აღნიშნულ მისამართზე ცხოვრობს 2000 წლიდან დღემდე. ამასთან, ქ.თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ძველი თბილისის სამმართველოს წერილის თანახმად, ნამდვილად

დასტურდება ელისო გაზდელიანის ზემოაღნიშნულ მისამართზე ხანგრძლივი ცხოვრების ფაქტი.

როგორც ქალბატონმა მარიამმა განაცხადა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას მიმართა მთაწმინდის რაიონის გამგეობამ და ითხოვა შუამდგომლობის გაწევა ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსთან, ზემოაღნიშნულ მისამართზე მდებარე ბინის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში გადმოცემასთან დაკავშირებით, შემდგომში, ელისო გაზდელიანისთვის გადაცემის მიზნით.

დასასრულს, **ქალბატონმა მარიამმა** აღნიშნა, რომ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემების თანახმად, **ელისო გაზდელიანის, მისი მეუღლისა და მათი შვილების** სახელზე, საკუთრების უფლება უძრავ ნივთზე, **რეგისტრირებული არ არის.**

აზრი გამოთქვა:

ლევან ჟორჟოლიანმა განმარტა, რომ სასურველია განკარგულების პროექტის სათაური გამართულ იქნას ტექნიკური თვალსაზრისით. ამასთან, მიზანშეწონილია, განკარგულების პროექტის **პირველ პუნქტში** აღინიშნოს უძრავი ქონების საპრივატიზებო საფასური. ასევე, სასურველია გასწორდეს და შეიცვალოს წარმოდგენილი განკარგულების პროექტის **მეორე პუნქტი,** შესაბამისად, განკარგულების პროექტის პირველი და მეორე პუნქტები ჩამოყალიბდეს შესაბამისი რედაქციით.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავის შიკავა ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" წევრმა - **ლილე ლიპარტელიანმა,**

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

12. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მე-12 საკითხთან მომართებიბაში, **მარიამ კვერნაძემ** აღნიშნა, რომ სამგორის რაიონის გამგეობის შუამდგომლობის გათვალისწინებით, ქ. თბილისში, თენგიზ სტურუას ქუჩა N29-ში, მეორე სართულზე მდებარე **142.70 კვ.მ** უძრავი ქონება, პირდაპირი განკარგვის ფორმით, პრივატიზებით, **სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად,** საკუთრებაში გადაეცემა სოციალურად დაუცველ პირს, **მოქალაქე გოჩა ოსიაშვილს.**

მომხსენებლის თქმით, ქონების გადაცემით დაინტერესებული პირის მეზობლების ნოტარიულად დამოწმებული თანხმობის მიხედვით, მოქალაქე **გოჩა ოსიაშვილი 1997 წლიდან** დღემდე **ოჯახთან ერთად** ნამდვილად ცხოვრობს დაინტერესებაში არსებულ ფართში. ამასთან, ქ.თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ისანი-სამგორის სამმართველოს პოლიციის IV განყოფილების წერილის მიხედვით, აღნიშნული პირი **10 წელზე მეტია** ცხოვრობს მითითებულ მისამართზე.

სსიპ ქონების მართვის სააგენტოს წარმომადგენელმა განმარტა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში წარდგენილია კომუნალური გადასახადის ქვითრები, რომლებშიც აბონენტად რეგისტრირებულია **გოჩა ოსიაშვილი.**

დასასრულს, **ქალბატონმა მარიამმა** აღნიშნა, რომ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემების თანახმად, გოჩა ოსიაშვილისა და მისი ოჯახის წევრებზე, საკუთრების უფლება უძრავ ნივთზე, **რეგისტრირებული არ არის.**

აზრი გამოთქვა:

ლევან ჟორჟოლიანმა განმარტა, რომ სასურველია განკარგულების პროექტის სათაური გამართულ იქნას ტექნიკური თვალსაზრისით. ამასთან, მიზანშეწონილია, განკარგულების პროექტის **პირველ პუნქტში** აღინიშნოს უძრავი ქონების საპრივატიზებო საფასური, ასევე, გასწორდეს ტექნიკური ხასიათის ხარვეზი და ჩამოყალიბდეს შესაბამისი რედაქციით.

ასევე, სასურველია გასწორდეს და შეიცვალოს წარმოდგენილი განკარგულების პროექტის **მეორე პუნქტი** და ჩამოყალიბდეს შესაბამისი რედაქციით.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავის შიკავა ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" წევრმა - **ლილე ლიპარტელიანმა,**

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

13. მარიამ კვერნაძემ წარმოადგინა დღის წესრიგით გათვალისწინებული მე-13 საკითხი და აღნიშნა, რომ კრწანისის რაიონის გამგეობის შუამდგომლობის გათვალისწინებით, ქ. თბილისში, ვაგზლის ქუჩა №57-ში, პირველ სართულზე მდებარე **110.01 კვ.მ.** ფართობის უძრავი ქონება, პირდაპირი განკარგვის ფორმით, პრივატიზებით, **სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად,** საკუთრებაში გადაეცემა **მოქალაქე ნინო რაჭველიშვილს,** რომელიც 10 წელზე მეტია ცხოვრობს მის დაინტერესებაში არსებულ ფართში, რაც დასტურდება, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა „გეოლოგის" მიერ შედგენილი სანოტარო აქტით.

მომხსენებლის განმარტებით, ქ. თბილისის პოლიციის შესაბამის დეპარტამენტის თანამშრომლის მიერ შედგენილი ბინაზე გამოცხადების ოქმის მიხედვით, მისამართზე - ქ. თბილისი, რუსთავის გზატკეცილი, სადგურის ქ. (ახლანდელი ვაგზლის ქუჩა) № 57, კორპუსი „ბ" ბ. № 115-ში ნამდვილად ცხოვრობს მოქალაქე ნინო რაჭველიშვილი თავის მეუღლესთან და ორ მცირეწლოვან შვილთან ერთად.

დასასრულს, **ქალბატონმა მარიამმა** აღნიშნა, რომ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემების თანახმად, ნინო რაჭველიშვილის სახელზე საკუთრების უფლება უძრავ ნივთზე, **რეგისტრირებული არ არის.**

აზრი გამოთქვა:

ლევან ჟორჟოლიანმა განმარტა, რომ სასურველია განკარგულების პროექტის სათაური გამართულ იქნას ტექნიკური თვალსაზრისით. ამასთან, მიზანშეწონილია, განკარგულების პროექტის **პირველ პუნქტში** აღინიშნოს უძრავი ქონების საპრივატიზებო საფასური, ასევე, სწორი ფორმით მიეთითოს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის №20.565.706 განკარგულების სათაური და პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შესაბამისი რედაქციით.

ასევე, სასურველია გასწორდეს და შეიცვალოს წარმოდგენილი განკარგულების პროექტის **მეორე პუნქტი** და ჩამოყალიბდეს შესაბამისი რედაქციით.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავის შიკავა ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" წევრმა - **ლილე ლიპარტელიანმა,**

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და

მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

14. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მე-14 საკითხზე საუბრისას, **მარიამ კვერნაძემ** აღნიშნა, რომ ისნის რაიონის გამგეობის შუამდგომლობის გათვალისწინებით, ქ.თბილისში, საინგილოს ქუჩა N55-ში, პირველ სართულზე მდებარე **73.53 კვ.მ** უძრავი ქონება, პირდაპირი განკარგვის ფორმით, პრივატიზებით, **სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად,** საკუთრებაში გადაეცემა **მოქალაქე ივანე დევნოზაშვილს,** რომელიც **2009 წლიდან** დღემდე, ოჯახთან ერთად ცხოვრობს ქალაქ თბილისში, საინგილოს ქუჩა N55, კორპუსი №2, პირველი სართული, ბინა №3-ში და ფლობს უძრავ ქონებას, რაც დასტურდება, აღნიშნული პირის მეზობლების ნოტარიულად დამოწმებული თანხმობითა და ქ.თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ისანი-სამგორის სამმართველოს **2020 წლის 8 აპრილის** წერილით.

დასასრულს, **ქალბატონმა მარიამმა** აღნიშნა, რომ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემების თანახმად, **ივანე დევნოზაშვილსა** და მის ოჯახის წევრებზე საკუთრების უფლება უძრავ ნივთზე, **რეგისტრირებული არ არის.**

აზრი გამოთქვა:

ლევან ჟორჟოლიანმა განმარტა, რომ სასურველია განკარგულების პროექტის სათაური გამართულ იქნას ტექნიკური თვალსაზრისით. ამასთან, მიზანშეწონილია, განკარგულების პროექტის **პირველ პუნქტში** აღინიშნოს უძრავი ქონების საპრივატიზებო საფასური, ასევე, გასწორდეს ტექნიკური ხასიათის ხარვეზი და ჩამოყალიბდეს შესაბამისი რედაქციით.

ასევე, სასურველია გასწორდეს და შეიცვალოს წარმოდგენილი განკარგულების პროექტის **მეორე პუნქტი** და ჩამოყალიბდეს შესაბამისი რედაქციით.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავის შიკავა ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" წევრმა **- ლილე ლიპარტელიანმა,**

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

15. მარიამ კვერნაძემ სხდომაზე დამსწრე წევრებს წარუდგინა, რიგით **მე-15** საკითხი და განმარტა, რომ ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს შესაბამისი განკარგულებით, ქ. თბილისის მთავრობას მიეცა თანხმობა, **2020 წლის 13 მაისის განკარგულებით განსაზღვრული** ყოფილი კოოპერატიული ბინათმშენებლობის წევრებისთვის/მათი უფლებამონაცვლეებისთვისა და შპს **„პერსპექტივასათვის"** მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, მდებარე: ქ. თბილისი, დიდი დიღმის IV მიკრო/რაიონში, 29-ე კორპუსის მიმდებარედ, **8613 კვ.მ** მიწის ნაკვეთის **პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხზე.**

საკითხის წარმომდგენის განმარტებით, პროექტი ითვალისწინებს, „ქ. თბილისში, დიდი დიღომი, IV მ/რ, N29–ე კორპუსის მიმდებარედ, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 8613 კვ.მ მიწის ნაკვეთის (ს/კ: N01.10.07.004.058) ე.წ. ყოფილი კოოპერატიული ბინათმშენებლობის წევრებისთვის/მათი უფლებამონაცვლეებისთვის და შპს „პერსპექტივა"–სათვის (ს/კ: 405304950) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხისა და

შესაბამისი ხელშეკრულების პირობების შეთანხმების შესახებ" ქ. **თბილისის საკრებულოს 2020 წლის 15 მაისის N81 განკარგულებაში ცვლილების შეტანას, ქალაქ თბილისის მთავრობის 2020 წლის 13 მაისის N20.505.651 განკარგულების დანართი N1 და დანართი N2-ით განსაზღვრული ხელშეკრულების დანართის, ქალაქ თბილისის მთავრობის 2020 წლის 3 ივნისის N20.561.718 განკარგულების დანართი N1-ისა და დანართი N2-ით განსაზღვრული ხელშეკრულების დანართის შესაბამისად ჩამოყალიბებასთან დაკავშირებით.**

როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 15 მაისის N81 განკარგულებით, ქ. **თბილისის მთავრობას მიეცა თანხმობა, ქალაქ თბილისის მთავრობის 2020 წლის 13 მაისის N20.505.651 განკარგულების დანართი N1–ით განსაზღვრული ყოფილი კოოპერატიული ბინათმშენებლობის წევრებისთვის/მათი უფლებამონაცვლეებისთვისა და შპს „პერსპექტივასათვის"** (ს/კ: 405304950) მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, მდებარე: ქ. თბილისი, დიდი დიღმის IV მიკრო/რაიონში, 29-ე კორპუსის მიმდებარედ, 8613 კვ.მ მიწის ნაკვეთის (ს/კ: N01.10.07.004.058) **პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხზე, მითითებული განკარგულების დანართი N2-ით განსაზღვრული ხელშეკრულების პროექტის შესაბამისად.**

მომხსენებლის თქმით, ზემოაღნიშნული განკარგულებების გამოცემის შემდეგ, **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობისათვის ცნობილი გახდა, რომ განკარგულების დანართი N1-ის 78-ე პუნქტით განსაზღვრული, ე.წ. „სხვა კოოპერატივების წევრი" ჯონდო ლილუაშვილი (პ.ნ. 01020015758) გარდაიცვალა 2020 წლის 21 თებერვალს,** ხოლო, მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი ვადის გათვალისწინებით, არ არის გაცემული სამკვიდრო მოწმობა, შესაბამისად, არ არის ცნობილი ჯონდო ლილუაშვილის უფლებამონაცვლე მოცემულ სამართალურთიერთობაში, რაც დამაბრკოლებელ გარემოებას წარმოადგენს მხარეთა შორის ხელშეკრულების გაფორმებისა და პროექტის განხორციელებისათვის, ვინაიდან, მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის შესახებ ხელშეკრულების გაფორმების ვადა იწურება **2020 წლის 15 აგვისტოს.**

მომხსენებელმა ასევე აღნიშნა, რომ აწ გარდაცვლილი ჯონდო ლილუაშვილი ჩანაცვლდა სხვა პირით. სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ მინიჭებული დაბალი სარეიტინგო ქულისა და მისაღები ფართის ოდენობის გათვალისწინებით, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, ჯონდო ლილუაშვილის ნაცვლად, ყოფილი საბინაო სამშენებლო კოოპერატივის წევრის, **ვახტანგ რუსიეშვილის დაკმაყოფილების თაობაზე.**

ქალბატონმა მარიამმა იქვე დასძინა, რომ სააგენტოში წარდგენილია ვახტანგ რუსიეშვილის სანოტარო წესით დამოწმებული აქტი, რითაც მის მიმართ არსებულ საშინაო ვალს დაფარულად მიჩნევის იმ პირობით, თუ დაკმაყოფილდება 8613 კვ. მ მიწის ნაკვეთიდან კონკრეტული წილის მიღებით, მოგვიანებით ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებული კომპანიის მიერ მიწის ნაკვეთზე განვითარებულ სამშენებლო პროექტში კონკრეტული ფართის საცხოვრებელი ბინის მათთვის გადაცემის გათვალისწინებით. აგრეთვე წარდგენილია **ჯონდო ლილუაშვილის შვილებისა და მეუღლის, სანოტარო წესით დამოწმებული დოკუმენტი, რითაც აცხადებენ თანხმობას, ჯონდო ლილუაშვილის დასაკმაყოფილებელ პირთა სიიდან ამოღების თაობაზე, იმ პირობით, რომ ჯონდო ლილუაშვილის უფლებამონაცვლეების დადგენის შემდეგ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტი მოახდენს მისი მემკვიდრეების დაკმაყოფილებას.**

აზრი გამოთქვა:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარემ წარმოადგინა განკარგულების პროექტის მიმართ არსებული მთელი რიგი შენიშვნები და აღნიშნა, რომ წარმოდგენილი შენიშვნების გათვალისწინებით, კომისიამ შეიმუშავა ქ.

თბილისის საკრებულოს განკარგულების პროექტი, რაც დანართის სახით დაერთვება კომისიის მიერ შემუშავებულ დასკვნას.

აღსანიშნავია, რომ საკითხის წარმომდგენმა გაიაზიარა კომისიის მიერ მითითებული შენიშვნები.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავის შიკავა ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ წევრმა - **ლილე ლიპარტელიანმა,**

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა ერთხმად გადაწყვიტეს, რომ დასკვნაზე დანართის სახით წარმოდგენილი განკარგულების პროექტი განხილულ იქნეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის შემდეგ, სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე		**ლევან ჟორჟოლიანი**
სხდომის მდივანი		**ნინოჯალაღანია**